საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია
საქართველოს არქეოლოგიური კომისია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
КОМИССИЯ ПО НАУЧНОМУ СОТРУДНИЧЕСТВУ СО СТРАНАМИ КАВКАЗА
АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОМИССИЯ ГРУЗИИ

კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I

АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ КАВКАЗА – I

მოხსენებათა მოკლე შინაარსები

Краткие содержания докладов

თბილისი ТБИЛИСИ
1998

ბ. ღამბაშიძე (თბილისი)

ევქარისტიული პურის (სეფისკვერის) ქართულწარწერიანი საბეჭდავი ღაღისტნიდან

ხუნძახიდან (ავარეთი) მომდინარეობს კირქვაში გამოქანდაკებული წელშეგნექილ-ცილინდრული, ორმხრივი საბეჭდავი, რომელიც დაღისტან-საქართველოს გაერთიანებულ არქეოლოგიურ ექსპედიციას 1986 წელს გადასცა ხუნძმა მხარეთმცოდნემ ბ-მა ალიბეკ კაზანბიევმა.

საბეჭდავის ჩ=7,1 სმ., სიმაღლეში მისი 1/3 ჩამოტეხილია, ჰორიზონტალური გვერდები დაზიანებულია, ამჩნევია ნაცეცხლარი.

საბეჭდავის მთავარი მხარის ფერდზე ამოკვეთილია ორი ჯვარი: ერთი ტოლმკლავა (ე.წ. "ბერძნული"), მეორე – ექვსფრთა (ე.წ. "ლოტარინგული"). ჯვრები "კიდურწერტილოვნადაა" შემკული. ერთმანეთს შორის განკვეთილობის ნიშნად "ორწერტილი" აქვთ.

ავერსი: დ=9სმ, შუაში ღრმად (1 სმ) ამოკვეთილია როგორც ჩანს, კვადრატული, კარგად დამუშავებული ფართი ("საუფლოჲ"), რომელშიც ღრმად ამოღარულია ტომლკლავა ჯვარი და მის ფრთებში უკუღმად ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული დაქარაგმებული ტექსტი: ⊃ϥ ϯ⁻ϩ ⊓⁻ⲖⲤ ⲧ⁻ϩ – ⲉ(ეს)ⲩ ⲭ(რისტ)ⲉ ⲗ(მრთი)სა ძე. საბეჭდავის გარშემო არეზე ("ანტიდორზე"), შემორჩენილია ჯვრის ფრაგმენტი და უკუღმად ამოკვეთილი დაქარაგმებული ასომთავრული ასოები: ϯ⁻ϩ ⲭ(რისტ)ⲉ. ზოგიერთი ასო "კიდურწერტილოვნადაა" შემკული. ქარაგმები "წაისრული" ფორმისაა.

რევერსი: დ= 8,5 სმ, შუაში (0,8 სმ სიღრმეზე), ამოკვეთილია როგორც ჩანს, კვადრატული, ნაკლებად დამუშავებული ფართი ("საუფლოჲ"), რომელშიც ასევე ამოღარულია ტოლმკლავა ჯვარი და მის ფრთებში უკუღმად ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული დაქარაგმებული ტექსტი: ϯ⁻ϩ ⊃ϥ ⲧϩ ⊓ – ⲭ(რისტ)ⲉ ⲉ(ეს)ⲩ ძე ⲗ(მრთისა). საბეჭდავის გარშემო არეზე ("ანტიდორზე"), შესამჩნევია ასოთა ნარჩენები. აღვნიშნავთ, რომ საბეჭდავის ამ მხარეზეც, ზოგიერთი ასომთავრული ასო და წაისრული ქარაგმაც "კიდურწერტილოვნადაა" შემკული. ასო ⊓ – ⲗ-ანს თავზე ჰორიზონტალურად "სამწერტილი" უზის.

პალეოგრაფიული მონაცემებით ხუნძური საბეჭდავის წარწერები X-XI სს თარიღდება. ევქარისტიული პურის ხუნძურ საბეჭდავზე არსებული ტექსტები (ანალოგიურია ანტიოქიის წმიდა ბარლაამის მონასტრის ევქარისტიული პურის საბეჭდავის ქართულწარწერიანი ტექსტისა, პანოპოლისისა და წმიდა სვიმეონის მონასტრების საბეჭდავების ბერძნულენოვანი ტექსტებისა), განსხვავდება სეფისკვერების წარწერათა ჩვეული ბიზანტიური ფორმულისაგან – იესუ ქრისტე ძლევაი, რაც შესაძლოა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების გათვალისწინებით, აიხსნებოდეს

იმით, რომ საქართველოში მთაწმიდელი მამების მოღვაწეობამდე (XIს) ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი არსებობდა.

ხუნძახში ევქარისტიული პურის ქართულწარწერიანი საბეჭდავის აღმოჩენა კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია შუასაუკუნეების ხუნძეთში ქრისტიანული რელიგიის ღრმა გავრცელებისა და ეკლესიური ღვთისმსახურების არსებობისა.

ნ. შანშაშვილი, გ. ნარიმანიშვილი (თბილისი)

ციკლოპური ნამოსახლარების გათხრები წალკის რაიონში

წალკის რაიონი, რომელიც თრიალეთის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს, მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა ექსპედიციებმა გამოავლინეს და შეისწავლეს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე.წ. ციკლოპური ნამოსახლარები, რომელთა გათხრებიც პრაქტიკულად არ ჩატარებულა. მათ სისტემატიურ არქეოლოგიურ შესწავლას 1990 წლიდან აწარმოებს წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია. გამოვლენილ ნამოსახლართა შორის შედარებით ფართოდაა შესწავლილი საბეჭდავისა და კნოლეს ნამოსახლარები.

საბეჭდავის ციკლოპური ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ბეშთაშენის ჩრდიოეთით, მდ. ბეშკენაშენისხევის მარცხენა ნაპირზე.

გათხრები ჩატარდა ადგილზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "ელი-ბაბას" ეძახის, ისტორიული წყაროები — ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონი -"საბეჭდავს".

გამოვლინდა ციკლოპური სიმაგრე, რომელიც აგებულია ბაზალტის დაუმუშავებელი ლოდებით, მშრალად. იგი განფენილია რამდენიმე ათეულ ჰექტარზე და შედგება სასიმაგრო სისტემისაგან და კვარტლებად განლაგებული სამოსახლოსაგან. სასიმაგრო სისტემა განლაგებულია მთის დასავლეთით მდებარე ოვალურ ტერასაზე. რომლის ფართობი 1,:5 ჰა-ს უდრის. ტერასა გარშემორტყმულია ბაზალტის ლოდებით აგებული კედლით, რომლის სიგანე 3-5 მ-ია. კედელზე, შიგნიდან, მთელ პერიმეტრზე მიდგმულია ერთსათავსოიანი სახლები. სიმაგრის კედელში, ორ ადგილას, დადასტურდა კარი. აღმოსავლეთის კარიდან იწყება ერთრიგად დაწყობილი, ვერტიკალურად დაყენებული ბაზალტის ქვების ხეივანი (სიგანე 1200 მ). იგი მიემართება აღმოსავლეთისაკენ, 100 მ-ის შემდეგ იყოფა ორად და გარს უვლის მთას. წარმოქმნილ სივრცეში განლაგებულია საცხოვრებელი კვარტლები. ნამოსახლარზე გათხრილი სახლების კედლების სისქე 2-3 მ-ს უდრის. სიმაგრის შიგნით გათხრილი სახლები ერთსათავსოიანია, კვარტლებში